

ა. ბენიანიძე

ბიზნის-გეგმა და მისი ფინანსური
ანალიზები



დამტკიცებულია სტუ-ს
სახელმწიფო-საგარეო ურთიერთობების
საბჭოს მიერ

განხილულია ბიზნეს-გეგმის შედგენის პრინციპები და მეთოდები ბუხჰალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყანაში მოქმედი კანონების შესაბამისად.

დამხმარე სახელმძღვანელო „ბიზნეს-გეგმა და მისი ფინანსური ასპექტები“ დიდ დახმარებას გაუწევს ენერგეტიკის ფაკულტეტის საინჟინრო და საინჟინრო-ეკონომიკური სპეციალობის (07.19.02) სტუდენტებსა და მაგისტრანტებს, აგრეთვე ბიზნეს-გეგმის შედგენით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რეცენზენტები: დოც გ. კიკნაველიძე,
დოც მ. თოფურია

შესავალი

თანამედროვე გარემოში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო: წარმოება, ჯანდაცვა, კავშირგაბმულობა, განათლება და მომსახურება, აინტერესებს ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ეფექტური მართვის გზით მიღწეულ იქნეს სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რის შედეგადაც გაიზრდება ეროვნული სიმდიდრე და ამადღდება მთელი საზოგადოების კეთილდღეობა.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საწარმოების ფუნქციონირების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შედეგები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ეყრდნობა სამეწარმეო კანონმდებლობასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს.

ბიზნეს-გეგმა ისეთი დოკუმენტია, რომელიც აღწერს მომავალი ეკონომიკური ღონისძიებების ძირითად ასპექტებს და აანალიზებს პრობლემებს, რომლებსაც შეიძლება წააწყდეს საწარმო: დაფინანსების წყაროების არჩევანის შესახებ ხანგრძლივადიანი გადაწყვეტილებების მიღება, ბანკებთან, ინვესტორებთან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ფორმირება, ძირითადი და საბრუნავი აქტივების მართვა, ფინანსური მასშტაბების ანალიზი, ბუჯალტრული ანგარიშის მონაცემთა შეკრება-დამუშავება საწარმოს შიგა და გარე სარგებლობისათვის, დივიდენდების გაცემის პრაქტიკის დამუშავება, გასაღების ბაზრის ტევადობის განსაზღვრა, მყარი შემოსავლებისა და სამეწარმეო რისკის შემცირების უზრუნველყოფა, მთელი რიგი სხვა ღონისძიებები, რაც განაპირობებს პროექტის პოტენციურ მომგებიანობას.

ბიზნეს-გეგმის შედგენის თანამიმდევრობა

ბიზნეს-გეგმა ის დოკუმენტია, რის საფუძველზეც ინვესტორი ან კრედიტორი იღებს გადაწყვეტილებას თავისი ფინანსების დაბანდების თაობაზე. კრედიტორი (ბანკები ან სხვა საფინანსო ორგანიზაციები) და ინვესტორი (აქციონერები, მეპაიეები) განსხვავებულად აფასებს ბიზნეს-გეგმას. კრედიტორისათვის საინტერესოა საწარმოს საიმედოობა და სტაბილურობა, რადგან მას იცავს საკრედიტო ხელშეკრულება და გარანტირებული აქვს კრედიტით გაცემული თანხის ანაზღაურება საწარმოს გაკოტრების შემთხვევაშიც კი. განსხვავებით კრედიტორისაგან, ინვესტორის რისკი უფრო მნიშვნელოვანია და, ამიტომ მისთვის საინტერესოა საწარმოს საქმიანობის მაღალი ეკონომიკური შედეგი (მოგება).

სატიტულო ფურცელი

ბიზნეს-გეგმის შედგენა იწყება სატიტულო ფურცლის გაფორმებით:

1. საწარმოს სრული ოფიციალური სახელწოდება. თუ საწარმოს აქვს საფირმო ნიშანი, მაშინ იგი მოთავსდება სატიტულო ფურცელზე სახელწოდების შემდეგ;
2. საწარმოს ორგანიზაციულ-სამმართვებრივი ფორმა;
3. საწარმოს იურიდიული და ააფოსტო მისამართი;
4. ტელეკომუნიკაციური რეკვიზიტები: ელ.ფოსტა, ფაქსი, ტელეფონი;
5. საწარმოს წარმომადგენლის გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონი;
6. ბიზნეს-გეგმის შედგენის და დაგზავნის თარიღი (თვე, წელი);
7. დოკუმენტის კონფიდენციალობის აღმნიშვნელი გრიფი, რომელიც მოიცავს ფორმულირებას იმის

შესახებ, რომ დოკუმენტში აღნიშნული მონაცემები კონფიდენციალური ხასიათისაა და არ ექვემდებარება გამხელას. არ შეიძლება ეს დოკუმენტი ან მისი ნაწილი გამოყენებული იქნეს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ან სხვა დოკუმენტებში.

რეზიუმე

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც პირველ რიგში ეცნობა ინვესტორ-კრედიტორი. აქ ნაჩვენებია პროექტის ძირითადი დებულებები ისე, რომ მკითხველს აღეძრას ინტერესი შეთავაზებულ წინადადებაზე: რა ძირითადი საქმიანობით იქნება დაკავებული საწარმო, მისი საქონელი ან მომსახურება, რესურსები, მიმწოდებლები, კლიენტები (მყიდველები), როგორია სავარაუდო მოთხოვნა პროდუქციაზე? უნდა დაიხატოს სრული ფინანსური სურათი მოსალოდნელი მოგებითა და მისი განაწილებით: რა რაოდენობის თანხა არის ჩასადები პროექტში და რატომ თვლის ბიზნეს-გეგმის ავტორი, რომ საქმიანობა წარმატებული იქნება?

თანმხლები დოკუმენტები

ზოგიერთ ინვესტორ-კრედიტორისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დოკუმენტაციის გაცნობა, რომელთა ტექსტში ჩართვა უინტერესოს გახდის მის აღქმას, ამიტომ მიზანშეწონილია ბიზნეს-გეგმას ახლდეს დანართი, სადაც ნაჩვენებია იქნება თანმხლები დოკუმენტები: რეგისტრაციის მოწმობა, სააქციო საზოგადოების წესდება, საპატენტო დოკუმენტაცია, საკადრო ცნობარები, სარეკლამო მასალების ნიმუშები, ბუკლეტები, ფოტოები, ნახაზები, კონტრაქტების ასლები, საფინანსო დოკუმენტები და ა.შ.

1. ორგანიზაციული გეგმა

ბიზნეს-გეგმის პირველ ნაწილში წარმოდგენილია საწარმოს ისტორია: ახლად შექმნილია თუ უკვე მოქმედი?, მისი მფლობელები და სამმართველო პერსონალი.

- საწარმოს ორგანიზაციულ-სამმართველბრივი ფორმა: (ინდ. საწარმო, სპს, კს, შპს, სს);
- საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა: მმართველი პერსონალი, განყოფილებები, დაკავებული ფართობი, შენობების, სართულების, საამქროების რაოდენობა, მიწის არენდა, ძირითადი საშუალებების ღირებულება, მათ შორის იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ღირებულება;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები: როგორი პროფილის, განათლების, გამოცდილების პერსონალი ესაჭიროება ფირმას, მიიღებს მათ ძირითად შტატში შეთავსებით თუ ექსპერტად? თუ ადგილობრივი კადრები ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მაშინ საწარმოს შეუძლია საჭირო პერსონალი ორგანიზებული შეკრების მეშვეობით მოიწვიოს სხვა რეგიონებიდან;
- განისაზღვროს ზემდგომი ორგანიზაცია – სამინისტრო. საწარმოს როლი და ადგილი დარგის ეკონომიკაში. მაგ., ენერგეტიკული საწარმოებისათვის ზემდგომი ორგანიზაციაა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო.

ორგანიზაციულ-სამმართველბრივი ფორმა

ორგანიზაციულ-სამმართველბრივი ფორმის ქვეშ იგულისხმება საწარმოს საქმიანობის ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძვლების ერთობლიობა, რომელიც დაკანონებულია გარკვეული სამმართველბრივი ნორმებით. ქვეყანაში მოქმედი ყოველი სტრუქტურული ერთეულის და, მათ შორის, ენერგეტიკული საწარმოების ორგანიზა-

ციულ-სამმართვერივ სტატუსს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა განსაზღვრავს.

საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე არსებობს წარმოების საშუალებებზე საკუთრების რამდენიმე ფორმა:

1. *კერძო საკუთრება*. როცა ერთი პირი მფლობელია ყველა წარმოების საშუალების: ინდივიდუალური საწარმო;
2. *კოლექტიური საკუთრება*. ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა ერთობლივი საკუთრება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი;
3. *სახელმწიფო საკუთრება*. როცა სახელმწიფო წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლებით სარგებლობს მისი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულით: სამინისტრო, დეპარტამენტი, გამგეობა და სხვ;
4. *იჯარით აღებული საკუთრება*. როცა მესაკუთრე სხვა პირია, მაგრამ იჯარით ამღები მას გარკვეულ პერიოდში იყენებს კერძო საკუთრების უფლებით, იჯარის გამცემის სასარგებლოდ კი იხდის ქირას სამეურნეო ხელშეკრულების თანახმად.

საქართველოში მოქმედებს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის თანახმად ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები, რომლის მფლობელი შეიძლება ჩვენი ქვეყნის ან საზღვარგარეთის ქვეყნის ფიზიკური, იურიდიული პირი იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. თითოეულ ორგანიზაციულ-სამმართვერივ ფორმას აქვს კანონით დადგენილი სამოქმედო არე, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ისჯება მოქმედი კანონის შესაბამისად.

ინდივიდუალური საწარმო ფიზიკური პირია და ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა (მთელი თავისი პირადი ქონებით) კრედიტორების წინაშე;

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – ამხანაგობა, პარტნიორობა, რომელთა პასუხისმგებლობაც შეუზღუდავია კრედიტორების წინაშე;

კომანდიტური საზოგადოება. მისი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ კომანდიტებს პასუხისმგებლობა აქვთ შეზღუდული (მხოლოდ მათი შენატანების ფარგლებში). ისინი არ მონაწილეობენ საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობაში, მათი როლი განისაზღვრება მხოლოდ ფინანსური მონაწილეობით (შენატანებით). კომპლიმენტებს კი აქვთ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა (მთელი ქონებით);

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც, საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში;

სააქციო საზოგადოება – საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობაა 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს ერთი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ან მისი მრავალჯერადი: 10 \$, 100 \$, 1000 \$;

კოოპერატივი იქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, გადამამუშავებელი, გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის.

მიზანშეწონილია თავიდანვე განისაზღვროს ორგანიზაციის (საწარმოს) ორგანიზაციულ-სამმართვებრივი ფორმა. ამისათვის საჭიროა თავიდანვე გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: ცალკე იმუშავენ თუ კომპანიონებთან ერთად? ვინ უხელმძღვანელებს კომპანიას? საიდან მიიღებს დაფინანსებას? ამ პრობლემების გარკვევის შემდეგ უნდა შეირჩეს ბიზნესის ორგანიზაციის რომელიმე სამმართვებრივი ფორმა.

კაპიტალის მოზიდვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სააქციო საზოგადოება, რომელიც იქმნება დამფუძნებელთა ჯგუფის მიერ. იღებენ წესდებას, ადგენენ საწესდებო კაპიტალს, გადიან რეგისტრაციას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში.

არსებობს ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება. ღია ტიპის სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირება ხდება აქციების გაყიდვის გზით ღია ხელმოწერით, ხოლო დახურული ტიპის სააქციო საზოგადოების შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი იქმნება აქციების განაწილებით მხოლოდ დამფუძნებლებს შორის.

მას შემდეგ, რაც დაადგენენ, თუ რა რაოდენობის საწესდებო კაპიტალი ესაჭიროებათ, განსაზღვრავენ ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებას.

მაგალითი: 1

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1.000.000 ლარს. გამოშვებულია 10.000 აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა: $1.000.000/10.000 = 100$ ლარი.

განასხვავებენ ჩვეულებრივ და პრივილეგიურ აქციებს. ჩვეულებრივი აქციის მფლობელს აქვს ხმის უფლება (ერთი აქცია – ერთი ხმა), ხოლო დივიდენდს მიიღებს მოგების მიხედვით. დივიდენდი სააქციო საზოგადოების მოგების ნაწილია, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა ყველა სახის გადასახადის გადახდის შემდეგ. პრივილეგიური აქციის დივიდენდი არაა დამოკიდებული მოგების სიდიდეზე და მტკიცედ დადგენილი პროცენტით განისაზღვრება, ე.ი. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიუხედავად უნდა გაიცეს მათზე დივიდენდი.

მაგალითი 2

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალია 1.000.000 ლარი. გამოშვებულია 10.000 აქცია, აქედან 6.000 ცალი ჩვეულებრივი და 4.000 პრივილეგიური აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 ლარი. საწარმოს

წმინდა მოგებაა 200.000 ლარი. პრივილეგიურ აქციაზე დივიდენდის განაკვეთია 20%.

I. ეტაპზე ვიანგარიშით თუ რამდენი უნდა გავცეთ პრივილეგიურ აქციაზე: $100 * 0,2 = 20$ ლარი;
 20 ლარი * 4.000 ცალი = 80.000 ლარი.

II. ეტაპზე ვიანგარიშით ჩვეულებრივ აქციებზე გასაცემი დარჩენილი თანხის რაოდენობა;
 $200.000 - 80.000 = 120.000$ ლარი.

III. ეტაპზე დარჩენილი წმინდა მოგება გავყოთ ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაზე და გავეინგარიშოთ ერთ აქციაზე გასაცემი დივიდენდის რაოდენობა:
 $120.000/6.000 = 20$ ლარი.

II. საქონელი ან მომსახურება

საწარმოები განსხვავდება საქმიანობის სფეროს მიხედვით; არის საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებენ მატერიალური წარმოების სფეროში: მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში, კაეშირგაბმულობაში და საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებენ არამატერიალური წარმოების სფეროში და ეწევიან სხვადასხვა სახის მომსახურებას (საყოფაცხოვრებო, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, საშუაშაველო საქმიანობა).

ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილში უნდა მოხდეს პროდუქციის ან მომსახურების დაწვრილებითი აღწერა: რა არის მასში განსაკუთრებული, რით განსხვავდება ბაზარზე უკვე არსებული ანალოგისაგან, რას მოიგებს მომხმარებელი მისი შექენით და რამდენ ხანს დარჩება ბაზარზე სიახლედ? ვიზუალური აღწერა: ხარისხობრივი მაჩვენებლები, დიზაინი, შეფუთვა და ა.შ.

III. მარკეტინგის გეგმა (ბაზარი)

გასაღების ბაზრის დასახასიათებლად ყურადღება უნდა მიექცეს ცვლილებებს კანონმდებლობაში, ეკონომი-

კაში, დემოგრაფიასა და კულტურაში (მოდა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ა.შ.). პირველ ეტაპზე განისაზღვრება ბაზრის მოცულობა ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით, ხოლო შემდეგ კლიენტების მიახლოებითი რაოდენობა და გაყიდვების პოტენციური ჯამი. შემდეგ ეტაპზე კი მარკეტინგული გამოკვლევებით დგინდება პროგნოზული ფასი, ვინ იქნება პროდუქციის საბოლოო მომხმარებელი, როგორ მაღაზიებში სურთ სიარული, რეკლამა და ა.შ.

IV. კონკურენტები

კონკურენტების დახასიათება: მათი მდებარეობა, გაყიდვების მოცულობა, შემოსავლები, სერვისი, რეკლამა, ხარისხი, დიზაინი, ფასების დონე. კონკურენტებთან ბრძოლის დაგეგმვა ადრეულ სტადიაზევე უნდა დაიწყოს, მოხდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება.

V. რისკის მართვა

რისკი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გამომდინარეობს ბუნების ამა თუ იმ მოვლენის სპეციფიკიდან ან ადამიანის მოქმედებიდან. შეიძლება რისკის თავიდან აცილება, უბრალოდ სარისკო საქმიანობაზე უარის თქმით. რისკის მართვა შეიძლება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, სარისკო მომენტის დადგომის პროგნოზირებით და რისკის ხარისხის შემცირებით.

რისკის ხარისხის შემცირების მეთოდებია:

„აცილება“ – რისკთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე (ინვესტიციებზე) უარის თქმა.

„გადაცემა“ – ფინანსური რისკის გადაცემა სხვაზე (სადაზღვევო კომპანიებზე).

„დივერსიფიკაცია“ – სახსრების დაბანდება სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ობიექტებში.

საწარმოში გამოიყენება რისკ-მენეჯმენტის ორგანიზაცია ანუ ღონისძიებების სისტემა მიმართული მოსალოდნელი დანაკარგის შემცირებისაკენ, რომელსაც ორგანიზა-

ციას უწევს ფინანსების მენეჯერი. რისკ-მენეჯმენტის სტრუქტურაში მართვის ობიექტად ითვლება რისკი (კაპიტალის სარისკო დაბანდება) და ეკონომიკური ურთიერთობები დამზღვევსა და დასაზღვევს შორის, კრედიტორსა და კრედიტის ამღებს შორის, ხოლო მართვის სუბიექტია სპეციალური ჯგუფი (ფინანსების მენეჯერი, დაზღვევის სპეციალისტი), რომელიც გარკვეული მეთოდებით ზემოქმედებს მართვის ობიექტზე. ზემოქმედების პროცესი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ხდება ინფორმაციის ცირკულაცია სუბიექტსა და ობიექტს შორის. ინფორმაცია: საზარალო მოვლენის დადგომის ალბათობა, მოთხოვნა ამა თუ იმ საქონელზე, კაპიტალზე, კლიენტების გადახდისუნარიანობა, დაზღვევის პირობები, ფასები, ტარიფები და ა.შ.

VI. საწარმოო გეგმა

ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილში აღწერილია მთელი საწარმოო პროცესი, ყველა ოპერაცია და თავისებურება: ეკოლოგიურობა, უსაფრთხოება, ვისგან, სად, რა ფასებში შეისყიდება ნედლეული, მასალები, მაკომპლექტებელი დეტალები, ფინანსური უზრუნველყოფა.

თუ ბიზნესის დაფინანსება უნდა მოხდეს საბანკო კრედიტით, მაშინ უნდა ვიცოდეთ კრედიტის აღების პირობები: საპროცენტო განაკვეთის რაოდენობა, უკან დასაბრუნებელი საერთო თანხა და ა.შ.

თუ წარმოების საშუალებები აიღება იჯარით (ლიზინგი), მაშინ უნდა გამოეთვალათ საიჯარო გადასახდელის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება. საგადასახადო კოდექსის თანახმად (მუხლი 21.) საიჯარო გადასახდელის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება ლიზინგის (ფინანსური იჯარის) მთელი პერიოდისათვის უნდა აღემატებოდეს ქონების საბაზრო ღირებულების 90%-ს.

ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილში უნდა ჩამოყალიბდეს საწარმოო დანახარჯების სტრუქტურა და დეტალურად

ჩამოვთვალეთ პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები.

- ხარჯები, უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის დამზადებასთან;
- გადასახადები, მოსაკრებლები დადგენილი წესისა და კანონის მიხედვით.

პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი დანახარჯები ასე წარმოვადგინოთ:

- ძირითადი ფონდების ამორტიზაცია;
- მატერიალური დანახარჯები;
- დანახარჯები ხელფასზე;
- ანარიცხები სოციალური საჭიროებისათვის;
- სხვა დანახარჯები.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაციაზე გაწეული დანახარჯები

ამორტიზაცია არის ძირითადი საშუალებების (შენობა-ნაგებობების, გადამცემი მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, სამეურნეო ინვენტარის) ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადატანა მზა პროდუქციაზე და ამ გზით მათი ანაზღაურების პროცესი.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის დაწყებისთანავე საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა შეადგინოს მათი ცვეთის გეგმა და განსაზღვროს ცვეთის მეთოდი. საერთაშორისო სტანდარტებით ამ პროცესში რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. ბუხჰალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ცნობილია:

1. ღირებულების წრფივი დარიცხვის მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ღირებულების თანაბარზომიერად ჩამოწერას მისი ექსპლუატაციის პერიოდში. ამ მეთოდის ფორმულა შემდეგი სახისაა:

წლიური ცვეთა=თავდაპირველი ღირებულება – სალიკვიდაციო ღირებულება/ ექსპლუატაციის ვადა.

2. კლებადი დარიცხვის მეთოდი

(ამორტიზაცია ნარჩენი ღირებულების მიხედვით)

ეს მეთოდი გულისხმობს ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ღირებულების გაანგარიშებას ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების მიხედვით ამორტიზაციის ნორმის შესაბამისად. ამ მეთოდის ფორმულა შემდეგი სახისაა:

წლიური ცვეთა=ძირითადი საშუალებების საბალანსო ნარჩენი ღირებულება ⊗ ამორტიზაციის ნორმა (ფარდობით ერთეულებში).

3. წრფივი დაჩქარებული დარიცხვის მეთოდი

(რიცხვთა ჯამის მეთოდი)

ეს მეთოდი გულისხმობს ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ღირებულების გაანგარიშებას ექსპლუატაციის პერიოდის ყველა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამის მეშვეობით. ამ მეთოდის ფორმულა შემდეგი სახისაა:

წლიური ცვეთა=(დარჩენილი წლების რაოდენობა /ექსპლუატაციის პერიოდის რიცხვთა ჯამი) ⊗ თავდაპირველი ღირებულება.

4. მწარმოებლურობის პროპორციული ცვეთის მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს, რომ ძირითადი საშუალება ცვდება გამომშვებული პროდუქციის ერთეულის პროპორციულად. ამ მეთოდის ფორმულა შემდეგი სახისაა:

წლიური ცვეთა პროდუქციის ერთეულზე = თავდაპირველი ღირებულება – სალიკვიდაციო ღირებულება / პროდუქციის წარმოების საგარაუდო მოცულობა;

საწარმოს ხელმძღვანელობამ თვითონ უნდა განსაზღვროს ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება, რაც რთული საქმეა, და, ამიტომ პრაქტიკაში იყენებენ საგადასახადი კოდექსის

ნორმებს, რომელიც იანგარიშება ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებიდან.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით ჩამოყალიბებულია ხუთი საამორტიზაციო ჯგუფი, თითოეული ჯგუფისათვის დაწესებულია შესაბამისი ამორტიზაციის ნორმა, სადაც ძირითადი საშუალებების თავისებურებები მხედველობაში არ მიიღება;

ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა %
<p>I. ჯგუფი - მსუბუქი ავტომობილები, ავტოსატრიაკტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად, ავეჯი ოფისისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა, სატიერთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისამბილეები, მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის, სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა, სამშენებლო მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა</p>	20
<p>II. ჯგუფი - სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა</p>	20
<p>III. ჯგუფი - სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა, თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები</p>	8
<p>IV. ჯგუფი - შენობები, ნაგებობები</p>	5
<p>V. ჯგუფი - ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში</p>	15

ძირითადი საშუალებების რემონტზე გაწეული დანახარჯები

საწარმოს ძირითადი საშუალებები პერიოდულად საჭიროებს საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტების ჩატარებას, ამიტომ წარმოების დანახარჯების ერთ-ერთ მუხლად გათვალისწინებულია წლის განმავლობაში გაწეული სარემონტო სამუშაოების ღირებულება.

ძირითად საშუალებათა რემონტისათვის გათვალისწინებული წლიური ხარჯების რაოდენობა საგადასახადო კანონით დასაშვებია ძირითადი საშუალებების ღირებულების 5%-მდე.

სამრეწველო-საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაწეული დანახარჯები

საწარმოში დასაქმებული მომუშავეების შრომის ანაზღაურების საფუძველია მინიმალური ხელფასი, რომლის დონესაც სახელმწიფო არეგულირებს. საქართველოში მოქმედი „შრომის კანონთა კოდექსის“ თანახმად, შრომის ანაზღაურების ქვედა ზღვარია 20 ლარი, ზედა ზღვარი კი განუსაზღვრელია. ხოლო იმ ფიზიკურ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მინიმალური ხელფასი განსაზღვრულია 115 ლარით.

მომუშავეების შრომის ანაზღაურება დაკავშირებულია ნამუშევარ დროსთან ან გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან.

დროითი ანაზღაურება გულისხმობს, რომ მომუშავეების გასტუმრება ხდება საათობრივად, დღიურად, კვირეულად ან თვიურად დადგენილი ნორმის ფარგლებში. დროითი ანაზღაურების სახესხვაობაა დროით-პრემიული ანაზღაურება.

სანარდლო ანაზღაურების დროს ხდება განსაზღვრული თანხის გადახდა ყოველ შესრულებულ ერთეულზე ან

შემოსევევაში მნიშვნელოვანია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია. სანარდო ანაზღაურების სახესხვაობად ითვლება სანარდო-პრემიული, აკორდული და სხვ.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ თანახმად მეწარმე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შრომას უნაზღაურებს დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირს, ვალდებულია გადაიხადოს სოციალური გადასახადი. სოციალური გადასახადი უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვას. დამქირავებლის მიერ გადასახდელი სოციალური გადასახადის განაკვეთი განსაზღვრულია ნომინალური (დარიცხული) ხელფასის 20%-ის ოდენობით.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მიხედვით ფიზიკური პირი ვალდებულია გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი როგორც ხელფასის სახით, ასევე სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან. დაქირავებული მომუშავის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება პროპორციული სისტემით, 12%-იანი განაკვეთით.

გადასახადები

საბაზრო მეურნეობის პირობებში საწარმოს სახელმწიფოსთან ურთიერთობას არეგულირებს საგადასახადო კანონი. გადასახადების მეშვეობით: ხდება სახელმწიფოს უზრუნველყოფა ფინანსებით, რაც შემდეგ გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასატრელად. გადასახადების მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის ფულადი უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია: სახელმწიფო აპარატის შესანახად, თავდაცვის, გარემოს დაცვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, გზების მშენებლობის, სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, იურიდიული პირი – საწარმო ვალდებულია გადაიხადოს შემდეგი სახის გადასახადები: სოციალური, მოგების, ქონების, დამატებული ღირებულების, აქციზი.

სოციალური გადასახადი უსრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვას. დამქირავებლის (საწარმოს) მიერ გადასახდელი სოციალური გადასახადის განაკვეთი განსაზღვრულია ნომინალური (დარიცხული) ხელფასის 20%-ის რაოდენობით.

მოგების გადასახადის გადამხდელია ყველა საწარმო მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამმართვებრივი ფორმისა. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საწარმოს საბალანსო მოგება. გადასახადის განაკვეთია 20%.

ქონების გადასახადის მიზანია ქვეყნის ბიუჯეტის შევსება, საწარმოებისა და ორგანიზაციების სტიმულირება, განთავისუფლდნენ უსარგებლო ქონებისაგან. რადგან საწარმო ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი იმ შემთხვევაშიც თუ საწარმო გაჩერებულია და არ მოაქვს მოგება. დაბეგვრის ობიექტია საწარმოს ბალანსზე აღრიცხული ქონება (ძირითადი საშუალებები). გადასახადის განაკვეთი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის განსაზღვრულია ქონების ნარჩენი ღირებულების 1%.

დამატებული ღირებულების გადასახადი არის საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების პროცესში შემქმნილი ღირებულების ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დაბეგვრის ობიექტია საკუთარი წარმოების, შექმნილი საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია. გადასახადის განაკვეთია 18%.

ენერგეტიკული საწარმოებისათვის დაბეგვრის ობიექტია წმინდა სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა ღირებულებით გამოსახულებაში (ელექტროენერჯის მოცულობას მინუს ელექტროენერჯის ნორმირებული დანაკარგები).

აქციზით იბეგრება საქონლის ცალკეული სახეების ჯგუფები, რომელთაც შემდეგი თავისებურებები ახასიათებთ: ასეთ საქონელზე არაელასტიკურია მოთხოვნა ფასის მიმართ ანუ ფასის საგრძნობლად მომატების შემთხვევაში ამ საქონლის მოხმარება მხოლოდ ოდნავ მცირდება; ისინი ფუფუნების საგნებია; ამგვარი საქონელი არსებითი მნიშვნელობის მქონედ არ ითვლება და მათი მოხმარება უარყოფით ექსტერნალიებს იწვევს (მაგალითად, თამბაქოს მოხმარება მწვევლებში სხვადასხვა დაავადებებს იწვევს). აღნიშნულის გათვალისწინებით შემოღებულია აქციზი ალკოჰოლურ სასმელებზე, ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოს ნაწარმზე და მსუბუქ ავტომობილებზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ მახასიათებლებთან ერთად ბიუჯეტის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. *აქციზის გადამხდელია:* - პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს, ან ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში.

აქციზის განაკვეთები

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	განაკვეთი	შემოთავაზებული განაკვეთი
1	ცქრილა და შუშხუნა ღვინოები (მათ შორის შამპანური)	1 ლიტრი	0,70 ლარი	
2	შემაგრებული ღვინოები; ჩამოსხმული ჩამოსასხმელი	1 ლიტრი	1,20 ლარი 0,70 ლარი	1,20 ლარი 0,70 ლარი
3	ვერმუტი და სხვა ნატურალური ღვინოები, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრაქტები	1 ლიტრი	2,50 ლარი	2,50 ლარი
4	ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომლებიც არ შედის ამ ცხრილის 1-ლ და მე-2 ნაწილებში; ჩამოსხმული ჩამოსასხმელი	1 ლიტრი	0,40 ლარი 0,10 ლარი	0,40 ლარი 0,10 ლარი
5	სხვა დადუღებული სასმელები (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი); დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი, რომლებიც ამ ცხრილში სხვა ადგილას არ არის დასახელებული	1 ლიტრი	2,50 ლარი	2,50 ლარი
6	ეთილის სპირტი	1 ლიტრი	1,30 ლარი	1,30 ლარი
7	სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჰაჭვის დისტილაციით	1 ლიტრი	2,30 ლარი	2,30 ლარი
8	ვისკი	1 ლიტრი	2,50 ლარი	2,50 ლარი
9	რომი და ტაყუა	1 ლიტრი	2,50 ლარი	2,50 ლარი
10	ჯინი და ლვინოს ნაყენი	1 ლიტრი	2,50 ლარი	2,50 ლარი
11	არაყი	1 ლიტრი	1,50 ლარი	1,50 ლარი
12	ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	1 ლიტრი	2,30 ლარი	2,30 ლარი
13	სხვა სპირტიანი სასმელები	1 ლიტრი	2,50 ლარი	2,50 ლარი
14	ღუღი	1 ლიტრი	0,20 ლარი	0,20 ლარი

<p>ა. თაბიაკოს ბაყაოთის (თაბიაკოს ნედლეულის გარდა) იმპორტი:</p> <ul style="list-style-type: none"> - სიგარა, სიგარები გადაჭრილი ბოლოებით და სიგარელა (წერილი სიგარები), რომლებიც შეიცავენ თამბაქოს - ფილტრიანი სიგარეტი - ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები, თამბაქო „კომოგენისირებული“ ან „აღდგენილი“; თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები; 	<p>1 ლერი 20 ლერი</p> <p>20 ლერი</p> <p>1 კგ</p>	<p>0,90 ლარი 0,90 ლარი</p> <p>0,25 ლარი</p> <p>20 ლარი</p>	<p>0,80 ლარი 0,80 ლარი</p> <p>0,25 ლარი</p> <p>20 ლარი</p>
<p>ბ. ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა):</p> <ul style="list-style-type: none"> - სიგარა, სიგარები გადაჭრილი ბოლოებით და სიგარელა (წერილი სიგარები), რომლებიც შეიცავენ თამბაქოს - ფილტრიანი სიგარეტი - ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები, თამბაქო „კომოგენისირებული“ ან „აღდგენილი“, თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები 	<p>1 ლერი 20 ლერი</p> <p>20 ლერი</p> <p>1 კგ</p>	<p>0,70 ლარი 0,70 ლარი</p> <p>0,15 ლარი</p> <p>20 ლარი</p>	<p>0,70 ლარი 0,70 ლარი</p> <p>0,20 ლარი</p> <p>20 ლარი</p>
მსუბუქი ავტომობილები		დიფერენც.- ფიქსირებული გადასახადი	7 %
ბუნებრივი გაზის კონდენსატი, გარდა მილსადენისა	1000 მ ³	150 ლარი	60%
ნავთობის დისტრილატები:			
ა. მსუბუქი	1 ტონა	250 ლარი*	250 ლარი
ბ. საშუალო	1 ტონა	220 ლარი*	220 ლარი
გ. მძიმე	1 ტონა	150 ლარი*	150 ლარი
* მაკნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით სუთები და ქვანახშირის ფისებისაგან			

19	მალალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები	1 ტონა	350 ლარი	
20	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	1 ტონა	120 ლარი	60 %
21	ბიტუმიანი მინერალებისაგან მიღებული ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ნედლი ნავთობის გარდა; პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი, ბიტუმიანი მინერალებისაგან მიღებული ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას% ან მეტი შემცველობით, ამასთან, ეს პროდუქტები წარმოადგენენ ძირითად შემადგენლებს	1 ტონა	400 ლარი	60 %
22	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	1 ტონა	400 ლარი	400 ლარი
23	მისართი, გამსსნელი, ანტიდეტონატორი	1 ტონა	400 ლარი	400 ლარი
24.	არამინერალური ზეთები	1 ტონა	400 ლარი	
25.	შაჟი ან ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი	1 ტონა	25 ლარი	10%

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი განუწყვეტლივ მოითხოვს ნატურალურ და ფულად ფორმაში გამოხატულ მატერიალურ და შრომით დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციასთან დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, წელი).

პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები შეიძლება აღირიცხოს ნატურალურ ერთეულებში; თანამედროვე ეტაპზე ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ნატურალური მანვენებლების საზომი ერთეულებია:

წარმოების ან მომსახურების სახეობა	დანახარჯთა ერთეულები
ელექტროენერჯის გენერაცია ელექტროენერჯის განაწილება ბ.გაზის მოპოვება ბ. გაზის განაწილება სატვირთო გადაზიდვები მგზავრების გადაყვანა სასტუმროები საავადმყოფოები მომსახურების სხვა საშუალებები	კვტსთ კვტსთ გ ³ გ ³ ტ/კმ კაცი/კმ სტუმარდღე საწოლდღე სთ

საერთო დანახარჯების განსაზღვრისათვის მოხერხებულია საწარმოო დანახარჯების ფულადი სიდიდებით გამოსახვა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოვყალიბოთ საწარმოო დანახარჯების სტრუქტურა:

მუდმივი დანახარჯები. არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულად. ეს დანახარჯები მუდმივია წარმოების გაჩერების შემთხვევაშიც კი. ასეთებია: ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია; პროცენტი კრედიტზე, საიჯარო გადასახადი, დაზღვევის ხარჯები.

ცვალებადი დანახარჯები. იზრდება წარმოების მოცულობის გადიდების, ხოლო მცირდება წარმოების მოცულობის შემცირების პროპორციულად, რადგან მეწარმემ უნდა იყიდოს მეტი ნედლეული, მასალები, დაიქირაოს მეტი მუშახელი და ა.შ. ასეთებია: დანახარჯები ნედლეულზე, მასალებზე, წყალზე, სათბობზე, ელექტროენერჯიაზე, დანახარჯები მომუშავეების შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხებით, დანახარჯები რემონტზე, გადასახადები.

პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებას გავიგებთ თუ საერთო დანახარჯებს შევაფარდებთ პროდუქციის მოცულობაზე. მაგ., თეთრი/კვტსთ, თეთრი/ გ³ ა.შ.

საბოლოოდ განისაზღვრება პროდუქციის საბითუმო და სარეალიზაციო ფასი. პროდუქციის საბითუმო ფასი გულისხმობს: საწარმოო დანახარჯებს პლუს მოგების ნორმა. სარეალიზაციო ფასი კი ყალიბდება საბითუმო

ფასის ბაზაზე: საბითუმო ფასს ემატება არაპირდაპირი გადასახადი (დღგ, ბაჟი, აქციზი), რომელიც წანამატის სახით ჩართულია სარეალიზაციო ფასში:

აღნიშნული გადასახადები არაპირდაპირია, რადგანაც მომხმარებელსა და სახელმწიფოს შორის მყარდება არაპირდაპირი კავშირი პროდუქციის მეშვეობით, რადგან ამ გადასახადის გადამხდელია მომხმარებელი, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხავს მეწარმე.

VII. ფინანსური გეგმა

ამ თავში ყველა წინა მასალა შეჯამდება და წარმოგვიდგება ღირებულებით გამოსახულებაში. მისი შედგენა მოითხოვს საბუხჰალტრო აღრიცხვისა და ანალიზის სპეციალისტს. თუ ფირმა მცირეა და არ ჰყავს ბუხჰალტერი, მას მოიწვევენ.

ვინაიდან ბალანსი პროგნოზულია, აქტივები და პასივები პროგნოზირდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ დამთხვევის აღბათობა ძალიან მცირეა. თუ პასივი მეტია, ვზრდით ფულად სახსრებს, ხოლო თუ აქტივი მეტია, მაშინ ვზრდით ნასესხებ სახსრებს ან აქციონერულ კაპიტალს.

პროგნოზული ბალანსის სტრუქტურა დაფუძნებულია შემდეგ ტოლობაზე:

აქტივები = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი

- აქტივები არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომლის საფუძველზე საწარმო მოვლის სარგებელს.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური რესურსების გასაყვას.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

ბუხჰალტრული ბალანსი

ბუხჰალტრული ბალანსი, რომელიც ეფუძნება ბუხჰალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტებით:

რეკვიზიტში „საფირმო სახელწოდება“ ნაჩვენებია საწარმოს დასახელება სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად.

რეკვიზიტში „ორგანიზაციულ-სამმართველო ფორმა“ ნაჩვენებია საწარმოს ორგანიზაციულ-სამმართველო ფორმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

რეკვიზიტში „იურიდიული მისამართი“ ნაჩვენებია საწარმოს ადგილსამყოფელი (მისამართი).

რეკვიზიტში „დარგი, საქმიანობის სახე“ ნაჩვენებია საქმიანობის სახე ეროვნული მეურნეობის დარგების შესაბამისად.

რეკვიზიტში „ზომის ერთეული“ ნაჩვენებია ფულის ერთეული საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

ბალანსის სტრუქტურა

ბალანსის მუხლები განლაგებულია მათი ლიკვიდობის მიხედვით. ლიკვიდობა ნიშნავს ამა თუ იმ მუხლის ფულად გადაქცევის უნარს. რაც უფრო ადვილია მუხლის ფულად გადაქცევა, მით უფრო მაღალლიკვიდურია იგი.

ა ქ ტ ი ვ ი

მიმდინარე აქციები

1. მუხლებში „ნაღდი ფული სალაროში“ და „ფული საბანკო ანგარიშებზე“ აისახება საწარმოს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები.

2. მუხლში „მოკლევადიანი ინვესტიციები“ აისახება ერთ წლამდე ვადით ინვესტირებული თანხები სხვა საწარმოთა ფასიან ქაღალდებში.

3. მუხლში „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებებიდან“ აისახება ერთი წლის ვადაში ასანაზღაურებელი თანხები, რომელიც საწარმოს ეკუთვნის მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

4. მუხლში „მოთხოვნები მეკაეშირე საწარმოების მიმართ“ აისახება მოთხოვნები მეკაეშირე (შვილობილი) საწარმოების მიმართ.

5. მუხლში „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“ აისახება წლის ბოლოსათვის არსებული ისეთი მოთხოვნები, რომლებიც დაფარული არ არის დადგენილ ვადაში და არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გარანტიებით.

6. მუხლში „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ“ აისახება პერსონალის მიმართ არსებული მოთხოვნები გაცემული სესხების, წარმოქმნილი დანაკლისების და სხვათა მიხედვით.

7. მუხლში „მოთხოვნები კაპიტალის შეესებაზე“ აისახება დამფუძნებელთა დავალიანება საწარმოს (ორგანიზაციის) საწესდებო კაპიტალში შესატანების მიხედვით.

8. მუხლში „გადახდილი დღე“ აისახება დამატებული ღირებულების გადასახადი შექმნილ მატერიალურ ფასეულობებზე, ძირითად საშუალებებზე, არამატერიალურ აქტივებზე და სხვა ფასეულობებზე.

9. მუხლში „მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები“ აისახება სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ავანსად გაცემული თანხები, რომელიც განკუთვნილია მოსალოდნელი ანგარიშსწორებისათვის.

10. მუხლში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“ აისახება მოთხოვნათა ის თანხები, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში მაინც.

11. მუხლში „საქონელი“ აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლოს საწარმოში ნაშთად დარჩენილი საქონლის შექენის თვითღირებულება.

12. მუხლში „ნედლეული და მასალები“ აისახება სამრეწველო გადამუშავებისათვის შექენილი ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალა, სათბობი, საწვავი და საპოხი მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, სათადარიგო ნაწილები, ტარა და სხვა მატერიალური ფასეულობები. ამავე მუხლში შეიძლება აისახოს „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“.

13. მუხლში „დაუმთავრებელი წარმოება“ აისახება დანახარჯები დაუმთავრებელ წარმოებასა და დაუმთავრებელ სამუშაოებზე.

14. მუხლში „მზა პროდუქცია“ აისახება წარმოების მიერ დამთავრებული პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება, რომელიც პასუხობს მოცემული პროდუქციის დამზადებისათვის ტექნოლოგიით გათვალისწინებულ პირობებს.

15. მუხლში „სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი“ აისახება მატერიალური მარაგები, რომელიც ასახული არ არის ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

16. მუხლში „წინასწარ გაწეული ხარჯები“ აისახება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება მომავალ საანგარიშგებო პერიოდებს და შეიტანება წარმოების ხარჯებში. მაგ., შიიჯარო ქირა, რეკლამაზე გაწეული ხარჯები, კადრების მომზადებაზე გაწეული ხარჯები და სხვ.

17. მუხლში „სხვა მიმდინარე აქტივები“ აისახება იმ მიმდინარე აქტივების ღირებულება, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების შედგენილობაში.

გრძელვადიანი აქტივები

18. მუხლში „მიწის ნაკვეთები“ აისახება მიწის ნაკვეთების შექმნაზე გაწეული დანახარჯები.
19. მუხლში „დაუმთავრებელი მშენებლობა“ აისახება დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება. აქვე შეიძლება აისახოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
20. მუხლში „შენობა-ნაგებობები“ აისახება საწარმოს განკარგულებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების ნარჩენი ღირებულება (ცვეთის გამოკლებით).
21. მუხლში „მანქანა-დანადგარები“ აისახება საწარმოს განკარგულებაში არსებული მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ნარჩენი ღირებულება (ცვეთის გამოკლებით).
22. მუხლში „ოფისის აღჭურვილობა“ აისახება საწარმოო და სამეურნეო ინვენტარის (კარადები, თაროები, რბილი და მაგარი ავეჯი, ტელევიზორები, მაცვრები და ა.შ.) ნარჩენი ღირებულება.
23. მუხლში „სატრანსპორტო საშუალებები“ აისახება საწარმოს ბალანსზე აღრიცხული სატრანსპორტო საშუალებების ნარჩენი ღირებულება.
24. მუხლში „სხვა ძირითადი საშუალებები“ აისახება იმ ძირითად საშუალებათა ნარჩენი ღირებულება, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.
25. მუხლში „გრძელვადიანი მოთხოვნები“ აისახება ყველა ის მოთხოვნა, რომლის დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელიწადს.
26. მუხლში „გადავადებული საგადასახადო აქტივი“ აისახება საგადასახადო მოგების სააღრიცხვო მოგებაზე გადამეტებული თანხა.
27. მუხლში „გრძელვადიანი ინვესტიციები“ აისახება ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ინვესტირებული თანხები სხვა საწარმოთა ფასიან ქაღალდებში.
28. მუხლში „არამატერიალური აქტივები“ აისახება იმ არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება, როგორცაა: ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფლე-

ბა, პატენტები, ლიცენზიები, უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე, სავაჭრო მარკები, სასაქონლო ნიშნები და სხვ.

პ ა ს ი ე ი

მიმდინარე ვალდებულებები

29. მუხლში „მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები“ აისახება დავალიანება მიმწოდებლებისა და მოიჯარეებისაგან მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, შესრულებული სამუშაოს და გაწეული მომსახურებისათვის.

30. მუხლში „მიღებული ავანსები“ აისახება სხვა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან ავანსად მიღებული თანხები მომავალი ანგარიშსწორებისათვის.

31. მუხლში „გადასახდელი ხელფასები“ აისახება დარიცხული და ჯერ კიდევ გაუცემელი შრომის ანაზღაურების თანხები.

32. მუხლში „ვალდებულებები მეკაეშირე საწარმოების წინაშე“ აისახება ვალდებულებათა თანხა: მეკაეშირე, შეიღობილი და სხვა ანალოგიური საწარმოების მიმართ.

33. მუხლში „მოკლევადიანი სესხები“ აისახება დავალიანებათა თანხა სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ფიზიკური პირების მიმართ, რომელიც უნდა დაიფაროს საანგარიშგებო თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

34. მუხლში „გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი“ აისახება გრძელვადიანი სესხების ნაწილი, რომელიც უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენიდან ერთი წლის განმავლობაში.

35. მუხლში „გადასახდელი მოგების გადასახადი“ აისახება თანხა, რომელიც უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში წლიური მოგებიდან საგადასახადო კანონის შესაბამისად.

36. მუხლში „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ აისახება ბიუჯეტისათვის განკუთვნილი საშემო-

სავლო გადასახადის თანხა ფიზიკური პირის ყველანაირი შემოსავლიდან, ჩათ შორის: ხელფასიდან, დივიდენდებიდან, პროცენტებიდან.

37. მუხლში „გადასახდელი დღე“ აისახება საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ღირებულების ნაწილის სავალდებულო შენატანი.

38. მუხლში „გადასახდელი აქციზი“ აისახება ბიუჯეტში გადასახდელი აქციზის თანხა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

39. მუხლში „სოციალური გადასახადი“ აისახება ბიუჯეტში გადასახდელი სოციალური გადასახადის თანხა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

40. მუხლში „სხვა საგადასახადო მანუვრებლები“ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადები, რომელიც არ ასახულა ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში (მიწის, ქონების და სხვა გადასახადები.)

41. მუხლში „გადასახდელი პროცენტები“ აისახება გადასახდელი პროცენტის თანხები, რომელიც დარიცხულია სხვადასხვა სახის სესხზე და გადახდა უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდიდან ერთი წლის განმავლობაში.

42. მუხლში „გადასახდელი დივიდენდები“ აისახება გასაცემი დივიდენდები, რომელიც ეკუთვნის დამფუძნებელ (მეწილე) იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, აქციონერებს.

43. მუხლში „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები“ აისახება სხვა ვალდებულებები, რომელიც არ არის ასახული ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

გრძელვადიანი ვალდებულებები

44. მუხლში „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები“ აისახება გრძელვადიანი სესხები, რომელიც უნდა

დაიფაროს საანგარიშებო პერიოდთან ერთი წლის განმავლობაში.

45. მუხლში „გადავადებული მოგების გადასახადი“ აისახება თანხა, რომელიც დროებითი სხვაობის გამო არ ექვემდებარება გადახდას მოცემულ საანგარიშებო პერიოდში, მაგრამ გადაიხდება მომდევნო პერიოდებში.

46. მუხლში „ანარიცხები“ აისახება მომავალ პერიოდში მოსალოდნელი ისეთი გასაცემი თანხები, რომელიც წარმოიშვა მოცემულ საანგარიშო პერიოდში (მაგ., ანარიცხები საწარმოს მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის).

47. მუხლში „გადავადებული შემოსავალი“ აისახება თანხები იმ შემოსავლების მიხედვით, რომელიც მიღებულია მოცემულ საანგარიშო პერიოდში, მაგრამ ეკუთვნის მომავალ პერიოდს.

48. მუხლში „სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები“ აისახება ის ვალდებულებები, რომელიც არ შევიდა ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში და რომლის დაფარვაც გათვალისწინებულია ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

საკუთარი კაპიტალი

49. მუხლში „საწესდებო კაპიტალი“ აისახება საწესდებო კაპიტალის სიდიდე სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, რომელიც ყალიბდება მათი დამფუძნებლების (მეწილეეზის) შენატანების ხარჯზე სადამფუძნებლო დოკუმენტების შესაბამისად. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, ინდივიდუალური საწარმო და კოოპერატივი ამ მუხლში ასახავენ პარტნიორთა (საწყის) კაპიტალს.

50. მუხლში „სარეზერვო კაპიტალი“ აისახება კანონმდებლობის ან წესდების საფუძველზე შექმნილი რეზერვები, რომლის ძირითადი ფუნქციაა დამფუძნებელთა და კრედიტორთა მოსალოდნელი ზარალისაგან დაცვა.

51. მუხლში „სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება“ აისახება საწარმოს მიერ სხვადასხვა მიზნით დარეზერვებული თანხები.

52. მუხლში „გაუნაწილებელი მოგება“ აისახება გასულ წლებში მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიში წლის მოგების თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი.

53. მუხლში „დაუფარავი ზარალი“ აისახება გასული და საანგარიშო წლის ზარალის თანხები.

მოგება – ზარალის წლიური ანგარიშგება

54. მუხლში „ამონაგები“ აისახება ამონაგები, რომელიც მიიღება საწარმოს (ორგანიზაციის) პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების რეალიზაციიდან დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზისა და საბაჟო გადასახადის გარეშე.

